



# მასხარა

„მასხარა“ საოხუნჯო მასალების კრებულია.  
დროებით აღრესი: Тифлиς, Типографія „Сорапань“ для „Масхара.“

509-09  
1907

№ 1.

## 1) ი ყ ი ღ ე ბ ა

ვერაზე (თფილისში) სამოსახლოები ძმ. მაკაროვების ადგილებში (დაგვიომეს გულ-უნჯობით 45 დესეტიანა). ვისაც უკვე ჰქონდა ხელი მოწერილი, იმან უნდა წარმოადგინოს თფილისის სამეურნეო ბანკში 7 მ.; ვინც ახლა აწერს—6 მ-ნ. განპარტებითი ცნობები იყო დაბეჭდილი გაზ. „ხუმარაში“. დააშურეთ ფულის შემოტანა.

## 2) ი ყ ი ღ ე ბ ა

ვერაზე (თფილისში) სამოსახლოები და საბაღეები ალექსანდრე გაბაევის ადგილში. დიდის თანაგრძნობით მიეგება ხალხის გაჭირვებას: 7 1/2 კაპ. დასთმო ოთხ-კუთხედი საყენი. 2 1/2—3 ვერსტზე ძმ. მაკაროვების ადგილებიდან საერთო ვაკე-ჭალაში. ვისაც სურს, მიიღებს არა ნაკლებ 1000 ოთხ-კუთხედი საყენისა. ამ თავით წარმოადგენს სამეურნეო ბანკში 3 მანეთს და მერე ისტუმრებს შესვედრილ ფასს გრძელი ვადებით. დროებითი აღრესი: Тифлиς, Типографія „Сорапань“ Севастію М. Гачечиладзе.

1880  
F 3755 754  
1956



დიდ მარხვან... გლოვის ზარი...  
ვერული აქეთ კუდიანებს...  
მოჭკრის კატით, ძაღლით, ცოცხით,  
ვინც რომ ძმას—ძმას უსიანებს.

როჯაპია განცხრომ ში...  
ქვებს აღუღებს და ხდის ქაფებს.  
დიდს და მცირე ქვეყნის ორგულს  
ხალხის სისხლით აზიარებს!

სამაქთაძლეო, არაფინანსო  
ბირონა და ში-ბირონა  
ფხვი.



**ბეშტია და ბენია.**

(ტელეფონით).

**ბეშტია:**

ქუთაისის სათავად-ახნაურო ბანკი გამოუტყდა საურთიერთო ნდობის ბანკს: „ფულეები არა მაქვსო!“ და იმანაც უბასუხა: „მეც მაკლიაო!“ მაშინ ორივემ ერთად მიმართეს სამოქალაქო საბჭოს. საბჭომ ტირილი დაიწყო: მე სულ არაფერი ვამაჩნია და მისთანა თავს ვეძებ, რომ საბჭოს ფეხები გამოაბას და აამოძრაოს. მართლაც, გადასწყვიტეს: თუ კი რუსეთმა ვარიაგებს მიმართა და მეფე მოითხოვა, ჩვენც რომ ქალაქის თავი ტფილისიდან გამოვიწეროთ, რა ცოდვა იქნებაო? აირჩიეს მოციქულები და გამოგზავნეს.

**ბენია:**

ჩამოვიდნენ აქ, ტფილისში, მოციქულები, მოადგენ ახლად მოვლენილ რიურისკს და სთხოვეს: ასეა ჩვენი საქმე... ქუთაისლები თავს დავეძებთ და აქ ვერ გვიბოვნიანო. მართალია, თავები იქაც არიან, მაგრამ იქაურები სულ იმასა სცდილობენ, ერთმანეთს ტვინი გაულაყონ და ტვინგალაყებული თავი რაღას ვარგაო? ახლა შენთან მოვსულვართ, თაობასა ვთხოვთ და ნუ გაგვაწბილებო!... ახალ-მოვლენილ თავადს ეფონა ეს ვედრება და უთხრა მოციქულებს: ცუდ მდგომარეობაში მაყენებთ! ეგ ჩემთვის ძალიან პატარა საქმეა! ხელ-მოსაკიდებელი არ არის, მაგრამ თქვენისთანა დარბაისელ-მოციქულებს უარი როგორ გაეზედებაო?! (გულში კი მოციქულის ანდაზა აგონდებოდა). სამ საათამდი ღრო მომეცით მოვიფიქროო! მაშინ მობრძანდით ჩემსა, სადელი მიირთვით და ყოლიფერს მოგახსენებთო! და-

ამედა მოციქულები. თვითონ კი გაქანდა სახლისკენ და სტუმრობია გამართა. მიიწვია: გუბერნიის მარშალი, ქალაქის თავი, სეკრეტარი, ბანკის თავმჯდომარე და სხვ. ამ გვარი დიდ-დიდი ვინმეები. მაგრამ სტუმართ მოყვარეობითა და პატივისცემით კი არა, არა! მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ისინი მოწმედ დაისწროს, თავი გამოიჩინოს და ათქმევინოს მათ: ბიჭოს, რა ყოფილა ეს კაცი, ჩვენ რომ თურმე კიდევ ვერ ვაფასებთ კარგათ? აი როგორ ეხვეწებიანო და სხვანი... მართლაც სადღილზე ბევრი მომზადებული სიტყვა წარმოიტქვა მასპინძლის გასაბერავი და ბოლოს უარით გამოისტუმრა შინისკენ მოციქულები.

**ბეშტია:**

ჩამობრძანდნენ მოციქულები მეტად დაღონებული. ქუთაისელებმა სიცილი დააყარეს: სად მიბრბოდით, რომ მიბრბოდითო? „მეტიჩარა ვაშლი ჯიბეში არ ეტეოდაო“ რომ იტყვიან, აბა, სწორეთ ეგ არისო და სხვანი. ერთმა ვითომ პოეტმა ლექსიც კი გამოსთქვა:

როცა უნდა პროკოფია,  
როცა უნდა—ვლადიმირი!  
ხან იანცი პოლოზ-ყაზახ,  
ხან ქართველი, ვითომ გმირი!

აქაც არი, იქაც არი,  
მაგრამ გულით არსად არი!  
იმერეთის ეშმაკია,  
ანგელოზის არ სადარი!

ახალი ღროს შესაფერი  
კაცი უნდა ამისთანა:

ხელთ უჭირავს მომარჯვებით,  
მოსაკლავი სხვისი, დანა!...

დაჭირდება პროკოფია,  
დაჭირდება—ვლადიმირი!  
იმერეთში დიდი... დიდი,  
ტფილისში კი გმირთა—გმირი!.

აკაკი.

\* \* \*

თუ სადმე წაგიკითხავს  
ორიოდე წიგნაკი,  
გითქვამს ცრემლებით თვალზედ:  
შეიბრალებთ მუშაკი;

თუ ჯიბეში გდებია  
ძველი პროკლამაცია,  
სამშობლო აღარ გახსოვს,  
აღარა გწამს ნაცია;

თუ თმა—წვერსა მოიშვებ,  
საპნით ხელებს არ იბან,  
დაგლეჯილი დადიხარ,  
წითელ პერანგს კი იცვამ;

თუ არსად არ მსახურებ,  
არაფრის ხარ მოხელე,  
მიტინგებზედ ყოფილხარ,  
გითქვამს თუნდ სისულელე;

თუ როგორც მაწანწალას  
სოფელ-სოფელ გივლია,  
გლეს-კაცი რომ გინახავს,  
კოდვით ცრემლი გიღვრია,

თუ სადმე მოგიბლაჯნავს  
შენ ლანძღვის წერილები,  
ან როდისმე გინახავს  
ციხის კარებ-კედლები;

თუ გულით გენატრება  
პროლეტარიზაცია  
და ქვეყნის იდეალათ  
გაქვს ცენტრალიზაცია;

იცოდე, რომ განხლები  
შენ ღუმის დეპუტატი,  
რადგან ცხადათ სჩანს, რომ ხარ  
სოციალ-დემოკრატი.

ეს ერთი.

ბენია შესახედავადაც სასაცილო იყო, დაბალი და ძველ ტანისამოსში გამოწყობილი. მეფემ ერთხელ ეს ბენია შაჰთან შუაკაცად გაგზავნა. შაჰს მეტად გაუკვირდა ბენიას როგორც შეხედულება, ისე დაფლეთილი ტანისამოსი და უთხრა: ნუ თუ შენს მეფეს კაცი გაუწყდა, რომ გამეგზავნაო. ბენიამ საკბილო იშოვნა და ჩაიცინა: კაცს კაცთან გზავნის და მე შენთანო!

გ. ვანო.

**ზ ლ ა კ რ ე ბ ი**

**„ნაცარ-ქექია.“**

(წინა სიტყვაობა).

ერთს ქვეყანაში მეფობდა  
ვეშაპი—ცხრა თავიანი.

სასტიკი, გაუმაძღარი  
„ლაშქარ მრავალი-ყმიანი.“

თითოეულ თავსა უძღომსა  
ესხა ალმასის კბილები...  
კბილს ლესდენ, თავთა აძლობდენ  
ამა ქვეყნისა შვილები.

ვეშაპის თავთა მახლობლათ  
ჭისა კამარას ჰკვეთავდის,  
გაუმაძღარი არწივი  
და მალლით გაამოხედავდის.

მტარვალსა ყმანი მრავალნი  
უხმოთ. უენოთ მონობდენ...  
გაუმაძღარის დაძღომას  
სრულისა ძალით ღონობდენ.

აქმევდენ ხორცსა მოყმეთა,  
სისხლსა ასმევდენ წყალათა  
ათასგვარ სანოვაგესა  
პირში უჩრიდენ ძალათა.

ტანს უმოსავდენ მოყმეთა  
ზურგზე ანაძრობ ტყავითა...  
და მტერსა მასზე მოსეულს  
შეაკვდებოდენ თავითა.

ყველას მიაჩნდა ვეშაპი  
ფეხისაგან მოვლენილათა  
მისგან შეწირულ მოყმეთა  
არცა კი თვლიდენ შვილათა.

ჟამთა მრავალთა სიგრძეზე  
ეს წესი ასე მყარობდა...  
გალაღებული ვეშაპიც  
სულყველა თავით ხარობდა.

ილესდა კბილთა მწვერვალებს  
და იფერავდა ძირებსა.  
მოყმეთა დასაშინებლათ  
ფართედ აღებდა პირებსა.

მაგრამ ბოლო აქვს ყველაფერს  
(თვინიერ სივრცე, ჟამისა)  
ფრიად შემცირდა მასალა  
ვეშაპის თავთა ჭამისა.

შეკრბენ ერთხელად მოყმენი...  
(გულს კრძალვა ედვით მხეცისა)  
სწამლათ რომ ესე ცხოველი  
მოვლენილია ზეცისა.

ოდეს ზღვა რიცხვი მოყმეთა  
კჳა-გონებით ბნელია,  
მათი ცრუ რწმენის წარბოცა  
ერთობ მძიმე და ძნელია.

მაგრამ მოვიდენ კვალთ გონს.  
სხვა გზა არც იყო სავალი...  
მალა-განიერ ვეშაპსა  
საზრდო სჭიროდა მრავალი.

მძიმეთ დაფიქრდენ მოყმენი.  
(ზოგ-ზოგი, არა სუყველა)

იკვლევენ: როგორ წაახრჩონ  
ცხრა თავიანი წურბელა.

ზოგმა სთქვა: მოდი, მოვსტეხოთ  
ვეშაპს ერთ-ერთი კბილით,  
საქმელსა მცირედს მოითხოვს,  
გადაგვირჩევა შვილით.

ზოგმა სთქვა: კბილი რას უზამს,  
უნდა მოგკვეთოთ თავითა.  
იქნებ შეშინდეს, მოგვშორდეს  
გაუმაძღარი სვავითა.

სხვებმა სთქვეს: ამხანაგებო!  
მერწმუნეთ ორნივე სცდებითო.  
ეგ ხერხი საქმეს არ არგებს,  
ტყვილა უბრალოთ სცდებითო

დავაჭრათ ყველა თავები,  
როს შევიხელოთ ჟამითა,  
და საღმე გადავათრიოთ  
მისი ბინძური გვამითა.

ვერა შეთანხმდენ მოყმენი,  
გზა აირჩიეს მრავალი;  
ყველას თავისი აზრი აქვს,  
თვისი უებრო წამალი.

მოსტეხეს ვეშაპს კბილები...  
ძირი ალაგას რჩებოდა  
და უფრო მჭრელი, ალმასი  
კბილები დაიზრდებოდა.

თავიც მოჰკვეთეს გმირებმა,  
(ზოგი ხომ ასე სწიოდა)  
მაგრამ მოჭრილის ალაგს  
ახალი ამოსდიოდა.

გაშმაგებული ვეშაპი  
მწარე ხმით გამოჰკიოდა;  
ვისაც გაჰკრავდის კულის წვერს,  
ყველა ჯურღმულში ცვიოდა.

ბევრი იმსხვერპლა მტარვალმა  
გაბედულ მოყმეთაგანი,  
მაგრამ ისევე ოცნებათ  
რჩებოდა ბრძოლის სავანი.

აშკარა იყო: ამა გზით  
ვეშაპს ვერ მოაკვდინებდენ,  
ამაოდ თავსა სწირავდენ  
და სისხლსა ადვრევიდებდენ.

ამ დროს არ იყო სხვა ღონე,  
მოყმეთა თავში ბნელოდა,  
ბრძოლის დროს ერთი მეორეს  
დიხაც არა შეველოდა.

მაგრამ გავიდა დროება.  
ცხოვრება გამოიცვალა,  
ვეშაპის ლაშქარ—მოყმემაც  
ბევრი ახალი ისწავლა.

ამხედრდა მთელი ქვეყანა...  
(არა ერთი და ორია)  
და ხალხსა აზღვავებულსა  
აბა ვინა ყავს სწორია?!

შედრკა, შეშინდა მტარვალი...  
სიკვდილსა ხედავს თვალითა  
და სურს განიგრძოს დღეები  
ისევე ლაშქართა ძალითა.

აქ შევაჩეროთ უბრობა  
ამ ჩვენი საუბარისა;

(მოყმეთა ბრძოლა ვეშაპთან  
მძიმე ამბავი არისა)  
მას მომავალში მოგიხრობთ  
რაც დამრჩა მოუთხრობელი.

ახლა კი ერთსა საქმეზე  
ცრემლი მდის შეუშრობელი.  
იმა ვეშაპის ქვეყანას  
ერთი მალალი ბექია,

რომლისა ძირას ბინადრობს  
ორი ძმა **ნაცარ-ქექია.**  
**ეშაპი.**  
(შემდეგი იქნება).

**„მასხარას“ დეპუტატი  
სააზნებოლსაგან.**

(საკუთარი კორესპოდენტისაგან)

**დ. ჭიათურა:** მალაროებში დაშავე-  
ბულთათვის აგენტი საქირო აღარ არი,  
რადგან ეს საქმე ჩემის ნებით ვიკისრე  
მე ჩემდა სასარგებლოდ როგორც შავი  
ქვის მრეწველთა საბჭოს მწვერმა.

**ალ. გამრეკელი.**

**საქარის სანერგე:** თანახმა ვარ სამე-  
ლიატორო სამართალში გავყვე ბ. გ. ჩი-  
ვაქეს იმ პირობით, თუ მედიატორები ჩე-  
მი დანაშაურობის შესახებ მსჯელობას არ  
იქონიებენ.

საქარის სანერგის გამგე **კ. გარავევი.**  
სინამდვილეა გარავევის ადიუტანტი

**მ. ჭამკვეთაძე.**

**ახალ-სენაკი:** საზიზღარი ხმებია გავრ-  
ცელებული აქ—ამბობენ თითქოს მე ირა-  
კლი ახვლედიანის შესახებ რამოდენიმე  
„დანაი“ დამეწეროს, რის მიზეზითაც  
ვითომ ის დაპატიმრებული იყო რამოდე-  
ნიმე ხანს.—ვაცხადებ საქვეყნოთ, რომ  
ყველა დანოსები ჩემი დაწერილი არ არი.

**ესე ბუა.**

**ბერლინი.** ეს-ეს არის ბებელს ველა-  
პარაკე. ძრიელ გაკვირვებულია ქართველ  
სოციალ-დემოკრატიის არჩევნების გამო,  
ვწუხვარო, სთქვა: რომ ნემცებს არა ყავთ  
ისეთი ღრმა ცოდნით სავსე პირნი, რო-  
გორც ქართველებსო; ნემცები და რუსები  
შურის თვალით დაუწყებენ ღუმეში ცქე-  
რას ქართველ სოციალ-დემოკრატებსო.

**დომინიკა.**

**ბაქო.** ჩვენ ქალაქში ღარიბები აღარ  
სცხოვრობენ. თითო თეთრი კენჭი ათ  
თუმანზე ნაკლებ არ იყიდებოდა. რაც  
კენჭები იყო მილიონერ ტაგიევის შვილმა  
შეისყიდა და პეტერბურღში წაიღო სტო-  
ლიპინის კოლექციის შესავსებათ.



**ნაბრძანებია:** გადასახადები დაუყონებლივ გადავახდევინოთ და ჩვენც ვხდით...

**„მ ა ლ უ ლ ო ბ ი ა“.**

(კომედია-შარჟი ორ მოქმედ. გაზეთ. ცხოვრებიდან)

**მოქმედნი პირნი:**

- ზურაბ დრუნცაძე**—კანტორჩიკი.
- გიტო წიკაშვიტი**—კანტორის გამგე.
- ლადო ლლაბუცია** { ექსპედიტორები.
- პარმენ კირკიტაძე** {
- იმერელი ბიჭი.**
- კვირიკელა**—რაჭველი მუშა.
- სტამბების ინსპექტორი.**
- ვაზეთის დამტარებელი-ხელის მომწერი.**
- ვაზეთის გამყიდველი-**

**მოქმედება პირველი.**

(სცენა წარმოადგენს პატარა დუქანს, სადაც ვაზეთის რედაქციის კანტორაა. ორი კარები აქვს. შუა კარებიდან მოსხანს გვერდით დუქანში დაწყობილი ფეხილით სავსე ტომრები. მარცხნივ კუთხეში სდგას „კანტორჩიკის“ სტოლი, მარჯვნივ ექსპედიტორების. დუქანში საშინელი სიცივეა. კანტორჩიკი და ექსპედიტორები მუშაობენ).

**ზურაბ** — (ხელეზს იფუნის და ფეხებს აბრახუნებს იატაკზე) ბრ! გამყინა სწორეთ, ისეთი ცივა ამ ოხერში! კალამი ვეღარ ამიღია ხელში, რომ რამე გავაკეთო.

**პარმენ**—ცივა და მერე როგორ ცივა, თითი თითთან ვერ მიმიტანია! რაღაც ორიოდ ადრესი გვაქ დასაწერი, მარა კბილში თუ დაეიქერ კალამს და ისე დაწერ, თვარა თითები თითქო არ მქონდეს.

**ლადო**—თითები თითებია და შენ ეხლა ფეხები იკითხე. ასე მგონია ფეხები აღარ მახია მეთქი.

**ზურაბ**—ბრ! ბრ! წყეული იყოს, ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვადლო. სად რედაქციის კანტორა და სად დუქანი? გავიწყდა რედაქციის კანტორა დუქანში? თუ რამე ღონე არ ვიღონეთ და ცეცხლი არ დავანთეთ, გაიყინებით.

**პარმენ**—სტოლზე თუ დაანთებ ცეცხლს არ ვიცი და ისე არც ფეხია აქ და არც ხანაბა. იპ! ასე არ შემეკიდებოდა, კუჭი

რომ ცარიელი არ მქონდეს. გუშინ დილას აქეთ პირი არ გამიწკლაპუნებია. როცა კაცი მაძლარია, მაშინ იმდენათ არ სცივა თურმე.

**ლადო**—შენ გუშინ დილას აქეთ არაფერი გიქამია და, მე რომ „შვიდეულს“ ვიღებ, ის არაფერია? სულ თუ არ გამიხმა კუჭი, სხვა არაფრის დარდი მაქ.

**ზურაბ**—ქამაზე ლაპარაკს ეხლა თავი დაანებეთ; თქვენ ისა თქვით რა მოვიგონოთ ისეთი, რომ შევებეთ. შენი მტერია, ხელის მომწერი თუ შემოვიდა ვინმე, კვიტანციას ვეღარ დაუწერ და ხომ ვქამეთ სირცხვილი?

**ლადო**—იცი, ბიჭებო, რა გითხრათ? მოდი, ერთი ლოთიანათ ვიკრივოთ და ისე შევხურდებით, რომ შენი მოწონებული. (გამოდის შუა ოთახში).

**ზურაბ**—მართლაც რომ კაი მოგონებაა. ცოტა გვერდები კი გვეტკინება მუშტებით, მარა სამაგიეროთ შევებებით. (ისიც გადის შუა ოთახში).

**პარმენ**—ვა! შენ კი გენაცვალე მაგ შუბლში, ღლაბუცია ხარ თუ ბაბუცია! ძან არ მოიგონე? მოდი! მოდი! (გამოდის და ეცემა ღლაბუციას: სამხივე დაიწყებენ კრივს, შემოდის ვაზეთის დამტარებელი).

**გამოსვლა მეორე.**

იგინივე და ვაზეთის დამტარებელი.

**ვაზეთის დამტარებელი**—(შემოვა მოწყენილი. დანახავს თუ არა კრივს, ჩავარდება შუაში და აშველებს) დაჩუმდით! გაჩერდით! არ გრცხვენიათ? რას შერებით, კაცო? (წაკრავს ხელს ხან ერთს და ხან მეორეს. ორ-სამ მუშტს მასაც უთავაზუბენ. სამხივე გაჩერდება და ხარხარებენ) რა გაცინებთ თქვე ოხრებო! ეს რედაქციის კანტორაა თუ ავლაბრის მოედანი?! არ გრცხვენიათ? რომ უცხო ვინმე შემოვიდეს, რას იტყვის?! რა გაქვთ, გასაყოფი, თავს რომ უტეხთ ერთმანეთს?

**პარმენ**—შე სულელო! შენ გგონია,

მართლა ვიხუბობთ? შეგვეცივდა, შე აბლაღ, და ცოტა შევხურდით.

**ვაზეთის დამტარებელი**—(ხარხარებს) თქვე ოხრებო და, ბიჭო, ცეცხლს ვერ დაანთებთ, თუ გცივათ? მაგისთვის თავ-პირს რათ ამტვრევთ ერთმანეთს?

**პარმენ**—ცეცხლს დიდის სიამოვნებით დავანთებდით, გენაცვა; მარა საუბედუროთ შეშავაკლია და შეშაც რომ გვქონდეს, დასანთები ალაგიც არ გვაქ. ხელის გულზე თუ დევინთებთ, არ ვიცი, თვარა სხვა ალაგი არ არის.

**ვაზეთის დამტარებელი**—ბიჭო! და მერე რათ იქირავებთ ასეთი დუქანი? კაი ოთახს მოვნახვილით სადმე, სადაც ფეხი იყო და ცეცხლსაც დავანთებდით.

**ზურაბ**—კიდევ მაძლობა ღმერთს, რომ ეს დუქანი ვიშოვეთ. მთელი თფილისის ყველა სახლები მოვიარეთ და სადაც კი ვაიგონებდენ ვაზეთის დამტარებელს, პირჯვრის წერით უკან გარბოდენ ასე ეგონათ. ეშმაკი გამოგვეცხადო.

**პარმენ**—ერთ ალაგას მივედი ოთახის დასაქირავებლათ და მე რომ იქ დღე დამაღა, იმისთანა თქვენ მტერს. დავრეკე ხარი. კარები ვიღაც შუახნის დედა-კაცმა გამიღო. ვნახე ოთახი. მომეწონა და ფასზე გავურვიდი. ბოლოს მკითხა, რამდენი კაცი იქნებით შიგო. მე ვუთხარი შიგ არავინ იცხოვრებს, აქ რედაქციის კანტორა იქნება მეთქი. ვახსენე თუ არა რედაქცია, იმისთანა შენ მტერს, მორთო ქალმა კივილი, მარა რა კივილი! სულ ცას სწვდებოდა მისი ხეა. იცოცხლე, ვიკადრე გაქცევა! მოვიშვლივმე ქუდი, გზაში არ დამეკარგოს მეთქი და გამოვარდი. ჩემდა უბედურათ კარებში ეზოს ძალლი მეცა და ახალი შალვარი სულ შემომახნია. როგორც იქნა გავასწარი სამშვიდობოს, თორემ შენი მტერია მე დღე დამაღებოდა. (ყველანი ხარხარებენ).

**ვაზეთის დამტარებელი**—უპ! რა ოხერი დრო დავგიდგა! თქვენ ეს მითხარით, ბიჭებო, გიტო არ მოსულა?

**პარმენ**—გიტო რათ გინდა?

**ვაზეთის დამტარებელი**—რათ მინდა და ჯამაგირი მინდა.

**ლადო**—ჯამაგირი რათ გინდა?

**ვაზეთის დამტარებელი**—თქვე ოხრებო! როგორ თუ რათ მინდა ჯამაგირი? საჭმელი მინდა, საჭმელი, გამიხმა კუჭი!

**ზურაბ**—(დაჯდება სტოლთან) თუ ძმა ხარ, საჭმელს ნუ ახსენებ, თორემ გული წამივა.

**ვაზეთის დამტარებელი**—შენ თუ გული წაგივა, მე კი არ წამივა? ორი დღეა ლუკმა არ ჩამიღვია პირში.

**პარმენ**—მეც შენზე ნაკლებათ არ მშია, მარა რა ვქნა! ვკრეჭ კბილებს და ვითმენ. ხან და ხან ისე ამეწვება კუჭი, რომ სულ წელში ვიგრიხები, მარა რა ვქნა? გიტო-იას ყოველდღე ვხედავ, მარა მისმა მხერამ ჩემ კუჭს არაფერი არ უქნა.

**ვაზეთის დამტარებელი**—ერთი დამენახა გიტოივ და რასაც უხამდი მე ვიცოდი.

**ლადო**—თვითონ ხომ არ შექამდი?

**ვაზეთის დამტარებელი**—შევქამდი და მეცტსაც ვუხამდი! (შემოდის გიტო წიკაშვიტი).



პირრი: ერთი ასეთი გამარჯვებაც და დავილუბე!

**გამოსვლა მესამე.**

იგინივე და გიტო წკიპურტიძე.

**პარმენ**—ფრთხილათ, გიტო! ფრთხილათ, თორემ დამტარებელი შეგჭამს, ახლო არ მიეკარო, (იციინან)

**გიტო**—რა ამბავია?

**გაზეთის დამტარებელი**—ფული! ფული! მოიტა ფული!

**პარმენ**—მეც მინდა ფული!

**ლადო**—მეც!

**ზურაბ**—მეც!

**გიტო**—მეც მინდა ფული!

**გაზეთის დამტარებელი**—რა გამასხარებთ. ჯამაგირი მერგება და მომეცი.

**გიტო**—რა ჯანაზიდან მოგცე, თუ კი არ არის?

**გაზეთის დამტარებელი**—მაშ, რა ვქნა, კაცო, შიმშილით კუჭი მეწვის!

**ზურაბ**—მეც მშია!

**პარმენ**—ვაი დედა, მუცელი!

**ლადო**—ვაი ერთი ცხელი საჭმელი!

**გაზეთის დამტ.**—ჯამაგირი მომეცი, კაცო! მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, მშია და რა ვქნა?

**გიტო**—გაიგე ძმაო, ფული არ არის და ცოტა მოითმინო უნდა. თუ მაინცა და მაინც გშია და საჭმელი არა გაქ, აი, დაიდევინ და ტლაკე. (აიღებს დიდ ნატეხ მარისს, მისცემს ხელში. ყველანი იციინან. შემოდის იმერელი ბიჭი. ხელში ტომარა უჭირავს. მივა დრუნცაძესთან და დადებს სტოლზე ტომარას).

**გამოსვლა მეოთხე.**

იგინივე და იმერელი ბიჭი.

**იმერელი ბიჭი**—აბა! ხაზენ! ჩქარა ერთი ფუთი ფქვილი! ჩქარა ამიწონე, მეჩქარება, (დაუდებს სტოლზე ფულს. ყველანი იციინან).

**იმერელი**—იმე! ღმერთო კი მომკალი! რაღა დაგიცლაპავენ თვალები და იციინით? რა მაქ სასაცილო? ამიწონე ფქვილი ჩქარა და თქვენ თუ გინდა იციინეთ, რამდენიც გინდათ.

**ზურაბ**—(სიცილით) რა ფქვილი! რის ფქვილი, კაცო?

**იმერელი**—იმე! რა ქვილი და პურის ქვილი, შე კაცო. ჩქარა, არა მცალია.

**გიტო**—(მივა ახლო და უყვირს) აქ, ჩემო ძმაო, ფურნე არ არის, რა ფქვილიო? ქკუზზე მოდი.

**იმერელი**—რა გაყვირებს ძმაო, ფურნე რომ არაა, მეც ქე ვიცი, მარა ქვილი ათასჯერ მიყილია აქანა, და თუ ხათრი გაქ, ამიწონე, მეჩქარება, დამაგვიანდება. (მივა დრუნცაძესთან და ეწევა).

**ზურაბ**—(გაეშვებინება) ხომ არ გაგიყდი, ძმაო! თავი დამანებე ერთი.

**იმერელი**—ქვილი მინდა, ძმაო, ქვილი!

**გიტო**—(უყვირს) ფურნე არაა აქ, არა!

**იმერელი**—გევიგონე, ძმაო, რომ ფურნე არაა აქანა, ქვილის საწყობია და მომიწონეთ ორი ფუთი.

**გიტო**—(კიდევ უფრო ხმა მალა უყვირს) შენ გეუბნებიან, ჩვენ აქ ფქვილს არ ვყიდით, არა, არა!

გახურებული მოძრაობა. ერთ ადგილზე ველარავინ დამდგარა. მარჯვნივ თუ წავედი, „შავი რაზმი“ აღარ დამზოგავს,—მარცხნივ თუ წავედი და „წითელი“. აბა, ამაზედ არის ნათქვამი:

„საითაც გავიქეციო, იქით წავიქეციო, აბანოში ვიბანე, გამოძევა ქეციო! აღარ ღირს სიცოცხლე. ცოლშვილო! მშვიდო...ბით! (ვარდება წყალში).“

**იმერელი**—სხვას თუ კი აძლევთ, ჩემი ფული არ ვარგა თუ? (აიღებს ტომარს და დააფრთხებს სტოლზე. დრუნცაძეს ფქვილი შეაკვივა თმასა და წვერში).

**ზურაბ**—(წამოვარდება გაბრაზებული) მოგეშორდი, ვილაც გიყი ოხერი ხარ. აქ დუქანი არაა, აქ გაზეთია, გაზეთი, „საყვირი“.

**იმერელი**—(გაფხიკიანდება) რას ვყვირი? შენ თვითონ ყვირი და მე მეუბნები, რას ყვირიო? გიყიცი ხარ და სუნელიც.

**ზურაბ**—დაიკარგე აქედან. (გადაუგდებს ტომარს. იმერელი მივარდება დრუნცაძეს და უნდა გაარტყას, მას მიეშველებიან წკიპურტიძე, ლლაბუცია და კირკიტაძე, მიესევინან იმერელს და კინწის კვრით გააგდებენ გარეთ).

ფ ა რ დ ა .

**მოქმედება მეორე.**

**გამოსვლა პირველი.**

(იგინე კანტორა. შუაში მაყალი სდგას ცეცხლით, კუთხეში ნახშირი ალაგია. დრუნცაძე, ლლაბუცია და კირკიტაძე სხედან თავთავიანთ ალაგას და მუშაობენ).

**პარმენ**—მოგეცათ სიცოცხლე, ჩვენ გავთბით, (მივა მაყალთან და ხელებს ითბობს) მარა ერთი უბედურობა თავის დღეში არ მომცილდება. რაღაც თავში მიჭუხუნებს და რა ამბავია, არ ვიცი.

**ლალო**—მეც საშინლათ მტკივა თავი.  
**ზურაბ**—თავიც საშინლათ მტკივა და გულიც მერვეა. მგონია დავიღუპეთ, „უგარი“ მოგვივიდა.  
**პარმენ**—მეც ვფიქრობ, რომ „უგარია“ აქ.

**ლალო**—მართლა თუ „უგარია“, რაღა გვემველება?

**ზურაბ**—ვაი თავი! (ხელს მოიჭერს თავზე).  
**პარმენ**—ვაიმე!

**ლალო**—გასქდა თავი. (ყველას თავზე ხელები უჭერია და დადიან).

**პარმენ**—გამიგონია „უგარი“ს დროს მარტილი უნდა ჩაყარო თურმე ცეცხლში. მოდი ჩავეყაროთ.

**ზურაბ**—თუ კარგია, ჩავეყაროთ.

**პარმენ**—(მოიტანს დიდრონ ნატყვ ქვა მარტოს და ჩაყრის ცეცხლში. ცოტა ხნის შემდეგ მარტილი გასქდება და ყველანი სტოლებ ქვეშ შექვრებიან. შემოდის გაზეთის გამყიდველი).

**გამოსვლა მეორე.**

იგინივე და გაზეთის გამყიდველი.

**გაზ. გამყ.**—(გაოცებით აქთ იქით იყურება) ვა! სად ჯანდაბაში წასულან. აქ არავინ არ არის, (შეიხნადავს სტოლ ქვეშ და დანინსავს კირკიტაძეს) ვა! პარმენ ჯან! ეს რა ამბავია, კაცო? მალეულობიას ხომ არ თამაშობ? რას შემეძვრალხარ სტოლ ქვეშ?

**პარმენ**—„ბერეგის“, გავარდა.

**გაზ. გამყ.**—რის „ბერეგისო“, ხომ არ გაგიჟდი!

**ზურაბ**—„ბერეგის“! გავარდა!

**გაზ. გამყ.**—ვა! დრუნცაძეც სტოლ ქვეშ შემეძვრალა. რა ბერეგისო, კაცო, რა ამბავია? (ამ დროს გასქდება მარტილი, დრუნცაძე და ლაბუტია თავებს ჩაღუნავენ, გაზეთის დამტარებელი ერთი შეხტება, თვალეზზე ხელეებს მიიფარებს და კუთხეში მოიკრუნჩხება).

**პარმენ**—„ბერეგის“! მოვიდა კიდეც.

**გაზ. გამყ.**—ეს რა ოხრობაა! ბომბები ხომ არ მოგიწყვიათ, თქვე ოხრებო! ღმერთო მიშველე. მოიტათ გაზეთები, წავიდე, ხიფათს არ შევემთხვა აქ. (დრუნცაძეს გაზეთები მომეცი. (დრუნცაძე კუთხისკენ უთითებს. გამყიდველი უცბათ აიღებს გაზეთებს და გარბის. შემოდის ხელის მომწერი).

**გამოსვლა მესამე.**

იგინივე და ხელის მომწერი.

**ხელის მომწერი**—(შემოდებს კარებს გაჩერდება ერთ ალავს და ათვალეურებს დუქანს, ამოიოხრებს) ოჰ! რა დრო დავგიდგა! განა ასეთ სანაგვე დუქანში უნდა იყოს რედაქციის კანტორა? ნეტა როდის უნდა მოეღოს ბოლო ასეთ მდგომარეობას? არვინ კანტორაში არ არის! ან კი ვინ გაჩერდება ამისთანა დუქანში?

**პარმენ**—(სტოლ ქვეშ) „ბერეგის“!

**ხელის მომწერი**—ბიჭოს! ეს ვინ ყვარის? (შეიხნადავს სტოლ ქვეშ და გაოცდება) საწყლები გაგიყებულან. რას ემალებით მაქ, პოლიციელებს ხომ არა? თუ შემოვიდენ, ნუ გემინიათ, მაქაც გიპოვნიან. გამოდით ნუ გემინიათ. (დრუნცაძეს თითს უქნევს) გამოდი, ერთი გაზეთი გამომიწერე.

**პარმენ**—„ბერეგის“ მოვიდა! გავარდა! (ხელის მომწერი შიშით აქეთ იქით იხედება. უცბათ ბასკდება მარტილი. ხელის მომწერი კისრისტეხით კარებისკენ გარბის. კარებთან სტამბების ინსპექტორს დაეჯახება და ორივე კარებში გაგორდება. ხელის მომწერი უცბათ წამოხტება და გარბის. შემოდის სტამბების ინსპექტორი).

**გამოსვლა მეოთხე.**

იგინივე და სტამბების ინსპექტორი.

**სტამბ. ინსპექტორი**—აი, მოგტყდა კისერი! დამამტვრია, ვილაც გიყი ოხერი იყო! (პალტოს იფერთხავს) სწორეთ საძაგელი ხელობაა ეს სტამბების ინსპექტორობა. გამოვიჩნდები თუ არა რომელიმე გაზეთის რედაქციის კანტორაში, ისე მიყურებენ, როგორც მგელს, ჩემ დანახვას შავი ქირის დანახვა ურჩევნია ყველას. აი ეხლაც ალბათ ფანჯარაში დამინახა ვილაც ოხერი იყო და გაიქცა. იმ უბედურს პოლიციელი ხომ არ ვეგონე? კიდეც მადლობა ღმერთს თავზე არ დამეცა, თორემ მაშინ უნდა გენახათ ჩემი გვერდების ტკივილი. (მიიხედ - მოიხნადავს) აქ არვინ არ არის. ყველანი გაქცეულან. საით გაიქცენ ნეტავი? მე ერთი დამეჯახა კარებში და დანარჩენები მიწაში ხომ არ ჩაძვრენ? (დანიხნავს დაწყობილ გაზეთებს) ჰოო! გაზეთები აქ არის და მე სხვა არა მინდა რა! წავიკითხავ საცენზურო კომიტეტის დადგენილებას, წავიღებ გაზეთებს და მორჩა, გათავდა. (მოიხნის ქუსს, დადებს სტოლზე, ამოიღებს ქალაღებს და კითხულაშს) „წყალობითა დეთისათა, და კავკასიის საცენზურო კომიტეტის დადგენილებასათა, დატუსაღებულ იქნას გაზეთ „საყვირი“ს მესამე ნომერი.“ (გათავებს კითხვას, მივა გაზეთებთან და უნდა, აიღოს. კირკიტაძე მუჯღუგუნს წაკრავს ლაბუტიას).

**პარმენ**—(ჩუმათ) ბიჭო! ლაბუტია! ეს სტამბების ინსპექტორია. მოდი ერთი ვურყვნოთ ფეთება. შენ უფრო ბოხი ხმა გაქ და დაიღრიალე ერთი.

**ლალო**—(დაიყვირებს) „ბერეგის“! მოვიდა! გავარდა!

**სტამბ. ინსპექტორი**—(უცბათ შეკრთება და აქეთ იქით იხედება) ეს რა ეშმაკი იყო! ვინ დაიყვირა! (ათვალეურებს კუთხეებს) ალბათ მომესმა, თორემ აქ არავინ არ არის. (დასწვდება ისევ გაზეთებს და უნდა აიღოს. ამ დროს მარტილი საშინელ ჯახანს მოიღებს. ინსპექტორი საშინლათ დაიღრიალებს და გარბის. ქუსლი იქ დარჩება. დრუნცაძე, ლაბუტია და კირკიტაძე სტოლებიდან გამოძვრებიან და იცინიან).

**პარმენ**—(ხარხარებს) ვაჩვენეთ ხომ ფეთება! ჩვენ კანტორაში აწი მაგი თავის დღეში აღარ შემოვა. ახლა აღარც თავი მტკივა და აღარც ფეხები. „უგარის“ დროს სიცილი კაი წამალი ყოფილა.

**ზურაბ**—(დაჯდება სტოლთან და ხელებზე დაეყრდნობა) მე უარესათ მტკივა თავი და გულიც მერვეა, (გულზე აზიდებს).

**ლალო**—მეც საშინლათ მტკივა, (იმასაც გულზე აზიდებს, დაჯდება. ნელა გაიღება კარები და ზანტათ შემოდის რაჭელი მუშა. ზურაბზე ხუთ ფუთიანი ფქვილით სავე ტობარა მოუღვია. შემოდის ხვნეშით და დრუნცაძესთან მივა. კირკიტაძე ხარხარებს).

**კვირიკელა**—(მოსწევს დრუნცაძეს) ქვე შენი ქირიმი, მომიწონე ეს ფქვილი.

**ზურაბ**—(გულზე აზიდებს. ხელს კრავს რაჭველს). წა...ა...დი!

**კვირიკელა**—ქვე შენი ქირიმი, მომიწონე!

**ზურაბ**—(გაჯავრებით) ვინ ხარ შენ?

**კვირიკელა**—ქვე შენი ქირიმი, მე კვირიკელა გახლავარ. ფქვილის აწონა მინდა.

**ზურაბ**—(გულზე აზიდებს) გიყი ხარ? აქ ფქვილის საწონი არაა.

**კვირიკელა**—ქი! შენ თვითონ დაბნეულხარ! აქ ფქვილის საწონია. ავთ ხარ ქი? მე გასწავლი წამალს: გულზე ზიდება რომ დაგეთხოვოს, მოტლაკე მარტილი და მაშინვე გაივლის. (მობრუნდება და უნდა სტოლზე ჩამოსდოს ტობარა. დრუნცაძე წამოვარდება და გაბრაზებით უყვირის).

**ზურაბ**—აქ ფქვილის საწონი არაა, აქ „საყვირის“ კანტორაა, „საყვირის“. (გულზე აზიდებს).

**კვირიკელა**—ქვე, შენ თვითონ ყვირი და მე შეუბნები რას ყვირიო ქი?

**ზურაბ**—აქ „საყვირის“ კანტორაა „საყვირის“, საყვირის!“ (წამოვარდება და უნდა გარეთ გაავდოს).

**კვირიკელა**—მე არ ყვირი ქვე! და შენ კი ვინმეს შეალოცვიე უყმური შეგხვედრია. (გაღის).

**ზურაბ**—(გულზე აზიდებს) ლაბუტია! კირკიტაძე! დროით (გულზე აზიდებს) მოვშორდეთ აქაურობას, თორემ ერთი გიყი კიდეც შემოგხეტება ვინმე.

**პარმენ**—წავიდეთ, წავიდეთ. არჩვენების ბრალია ჩვენი ამ დღეში ყოფნა. (სამნივე წამოდგებიან, ალაგებენ სტოლს და „ვაი ვაი“ს ხმაზე მღვრიან.)

არჩვენების ბრალია ჩვენი თავის ტკივილი. თუ შეგვიტყვეს აქ ყოფნა, ნახეთ ჩვენი კვილი.

სახლს აღარავინ გვაძლევს. ან რა გასაკვირია: შავი ქირი გონიათ საბრალო „საყვირია“.

რაც „უგარმა“ დაგვაკლო, შეგვივსებს პოლიცია, ჯამაგირს ოხრათ დავტოვთ, გიტოს არ მოუცია.

ჩვენი ტანჯვა-წვალევა სულ მთავრობის ბრალია, რომ გაგზავნოს დუმაში ვინმე ხულიგანია.

(თავზე ხელეები აქეთ მოჭერილი და ისე გადიან სამივე.) ფარდა.



—როგორ, ერთი კაცის მოკვლისთვის უნდა ჩამომახრჩოთ?

**პოლიციელი**—რა ჩვენი ბრალია, მეტს მოკლავდი...

**ღარკინის თეორია.**

უძღვნი კ. თავართქილაძეს.

ოჰ, სიყალბევე, უღმერთობავე! რამ მოგვარა ღარკინს ფიქრში, თითქოს კუს, ღვთის ხატება, მაიმუნის იყოს ჯიში?

მაგრამ ერთგან რომ უეცრად საიდუმლოდ დაგინახე— „ღარკინო, შენ მართალი ხარ!“— უნებურად დავიძახე.

**ფხაჭი.**

**სამართალი.**

(არაკი, გადმოღებული ფრანგულიდან).

ძველებურა სამართალი, შენი მადლი ამოვარდა,— ყოველიფრის ნიჭი გქონდა სამართლიანობის გარდა!

ერთ კაკალზე ორ მოდავეს უცბათ შეხვდა სამართალი! თან მოჰქონდა ილლითა ლადარიკონ-სასწორ-ადლი.

—ჩემიაო, მას შესჩივლა ერთმაცა და მეორემაც და შეუდგენ მომჩივარნი ერთმანეთის ტყება-ცემას.

სამართალმა კაკალს კანი გადახლიჩა მათს კიჟინში: თითო ხეპკო მათ უჩიტა, ნებალო კი იკრა პირში.

ოჰ, ბუალოვე, გონ-მახვილო! ამ არაკით შენ სთქვი, რომა საჩივრების ანგარიშზე იკვებება... მართველობა!

**ფხაჭი.**

**ვანცხალება.**

(დანხმარებელ საზოგადოებისა).

დაზარალებულებისთვის ვერცხლ-ოქრო გვაქვს მთელი გობი; ვისაც ნებავეს დანხმარება, შემოგზავნოს **იაკობი.**

**რუსულიდან.**

მიყვარს ზოგჯერ სარკმელიდან მე ქუჩაში ქვრეტა-მზერა, ამვლეღ-ჩამვლეღს ბევრსა ვხედავ, კაცურ-კაცს კი—ერთსაც ვერა!

\* \*

პირამთქმელი წერით, სიტყვით, ყურადღებას ვიპყრობ ოდეს, ვიცი—ნაცნობს ბევრს შევიძენ, მეგობარს კი—ვერასოდეს!..

**თ. მაგმაძე.**

**ნაკვეთები.**

სამი ღვამა.

პეტერბურგიდან ჩამოსულ პოეტს შეეკითხა რედაქტორი: რას ამბობენ სტუდენტები ჩემ ჟურნალზე?

—მიმართულებას უწუნებენ.

—კიდევ? არკი გამოვსცვალე: მართალია, აქამდე ხმელეთით ვაგზავნიდი, მაგრამ ახლა, ეს ერთი ხანია, ზღვით ვაგზავნი, ოდესაზეო!..

—ეგ სულ ერთია, რა გზითაც აგზავნი!.. მწერლობის მიმართულებას გიწუნებენ!..

—ჰმ! მაშ ჯერ არ ექნებათ წაკითხული ჩემი ახალი ლექსი „კახეთში მოგზაურობა“, რომელიც ასე იწყება:

მივალ, მივალ, მივდივარ, მივალ, მიმიხარია!

ჩავალ, ჩავალ, ჩავდივარ, ჩავალ, ჩამიხარია და სხვა.

თუ ესეც აღარ არის მიმართულებით დაწერილი, მაშ რაღა ჯანაბა არისო?

**აკაკი.**

**ცხელ-ცხელი ამბავი.**

**ამნისტია დაიწყო.** ალექსანდროვის ბაღს სატუსაღოს კარები გაუღეს და გაათავისუფლეს. ამ ამბავმა ყველა გაამხიარულა და მისალოცათ გაემგზავრენ.

**თბილისში** დაშნაკაკანების დამარცხების გამო ავლაბარში ლანძღვა-გინებამ იკლო. ავლაბრის დაშნაკაკანები ქალაქის მომავალ არჩევნებისათვის ემზადებიან. ქალაქის თავათ ხაყას ასახელებენ, ვინაიდან მას ავლაბრული ლანძღვა-გინების უნარი გამოაჩნდა „ჟამანაკის“ ფურცლებზე. ზინვორებისთვის ინგლისიდან გამოიწერეს ახალი სისტემის თოფები, რომლებიც მუგუზლით გავარდება. ქალაქის არჩევნების დროს დიდი „სერანი და ძვრანი“ მოხდება.

**საჭიროა „ზაპასნი“**

**რედაქტორი.**

იუმორისტულ გაზეთისათვის.

ჯილდოთ მიეცემათ:

- 1) ბევრდების შეხელა და ცხვირ პირის ჩამტვრევა,
- 2) არხანგელსკის ვუბერნიაში გადასახლება,
- 3) მეტეხის ციხეში ჩაბანება,
- 4) და, თუ გაბედულათ მოიქცევა, (რასაც ჩვენ მოვითხოვთ) ველურ სასამართლოს წინაშეც ამოყოფს თავს.

**ნ ა რ ე ვ ი.**

როცა ვირი დაინახავს ბნელ ღამეში მგლის ანთილ თვალებს, თითონ მაშინვე დახუჭავს თვალებს—ჰგონია, რომ ველარ დამინახავს და ხიფათს გადავრჩებიო. ასე არ შევება ყველა, ვისაც არ უნდა სიმართლის გაგონება?! ასე არ შევება, როგორიც უნდა იყოს მართველობა, როცა ის ავიწროებს სიტყვის თავისუფლებას და ჰგონია, რომ ამით მისთვის უსიამოვნო სიმართლის მხილებას აიცილენს?!

ერთმა ხულიგანმა გაუარა გვერდით სახრჩობელას, სადაც ეკიდა დასჯილი და ქული მოიხადა.

თან ახლდა მას ახალ-გაზრდა აზრების კაცი და გაკვირვებულმა ჰკითხა: მორჯულდი, პატივის ნიშანი მიეცი წამებულსაო?

—არა! პატივი ვეცი მართლ მსჯელობასაო, მიუგო ხულიგანმა.

დუბროვინმა შეიძრახა: ნუ თუ ჩვენ ვერ ვიხსნით რუსეთს განსაცდელიდგან? ბატებმა არ იხსნეს რომიო? საბრალომ ის კი არ იცოდა, რომ ღორი ბატი არ იყო!

ისე გადის გრინგმუტის გაზეთი, რომ სხვა ქალაქს აღარ ხმარობენ ფენის ადგილებში!

—ბედნიერი კაცი ხარ, ჩემო ჯიბრაილ: ერთი ახალი ამხანაგი კიდევ შეგიძენია.

გოცნის, გეხვევა, გიძვრება სულშიო!

—მადლობელი ვახლავარ, ღმერთმა მტერსაც ნუ მოუშალოს ისეთი ამხანაგი: გიძვრება სულში?.. ვახლავს—ჯაშუშიო!..


**ვანცხალება**

**ახალი ელექტრომბეჭდავი სტამბა**

**ამხ. „სო რ ა პ ა ნ ი“**


ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს დაკლებულ ფასებში.

სტამბა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე ქ. მუხრანსკის სახლში № 1.



**ზინგორები:** ეგ შენ გაბედე, რომ „ხუმარაში“ ძლიერი ლომი კატათ დახატე და უძლეველი დაშნაკაცკანი სამასხროთ ქვეყნის გახადე?!... ჩქარა პასუხი!.. თორემ იტყებებს ჩვენი ძვირფასი მაუზერები და შენ მოსარჩლე სოციალისტებს ნიშნათ დარჩებათ ეგ შენი ძვლები!!...

**მხატვარი!** ერთი მითხარით: რამ შეგაშფოთათ, რამ მოგივლინათ ესრეთი ჭირი, თუ რომ პილბილი არ გიქამიათ, მიკვირს, ღმერთმანი, რათ გეწვისთ პირი!?! მაგრამ რას ვამბობ? ახ, უკაცრავათ! თქვენ მგონი ხალხმა ერთხმაოვანად და ამას იქით მეც შევეცდები დაგხატოთ ყველა ჩვენებურ მურათ!...



**მამა ქსენეფონტე:** განუსვენე უფალო მხევალსა ამას! მეორეთ ღუმის გამორეკამდის! დიდება შენდა ღებროვინო! დიდება შენდა!



**ქალბატონი:** მოფსიკ, მოფსიკ, მოფსიკ!  
**კინგო:** ვაჰ, თუ არ მინდა?!  
 ასე ცულია ხალხსა და მართებლობას შორის გაუგებრობა!

გამომცემელი რახილ კალანდაძე.